ჰომოფობია საქართველოში: რა როლი აქვს იდეოლოგიურ ორიენტაციებს, ემპათიასა და ასაკობრივ სხვაობებს განწყობების პროგნოზირებაში

ანნა ჩიტაია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებადა ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური ფსიქოლოგიის საგნის კრედიტის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: ფსიქოლოგია

მიმართულება: სოციალური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ანა მაყაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს წარმოადგენს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანნა ჩიტაია

6 ივნისი, 2025

აბსტრაქტი

საქართველოში საბჭოთა წარსული და დემოკრატიული სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესი ქმნის ისეთ გარემოს, რომ ჰომოფობიური განწყობების კვლევა არამხოლოდ სოციალური კეთილდღეობის საკითხია, არამედ მნიშვნელოვანია საქართველოს გეო-პოლიტიკური გამოწვევების ფონზეც. წინამდებარე კვლევის მთავარი მიზანი იყო, შეესწავლა, თუ რა როლი აქვს ასაკს, ემპათიას, სოციალური დომინანტობის ორიენტაციასა და პოლიტიკურ იდეოლოგიებს ჰომოფობიური განწყობების პროგნოზირებაში, კონკრეტულად – გეი კაცებისა და ტრანსგენდერების მიმართ. კვლევა არის კროს-სექციური და გამოყენებულია რაოდენობრივი კვლევის მეთოდი. შედეგებმა აჩვენა, რომ მონაწილეები ავლენენ წინარწმენების უფრო მაღალ დონეს ტრანსგენდერების მიმართ. პოლიტიკური იდეოლოგიები – კონსერვატიზმი და ეთნოცენტრიზმი დადებითად პროგნოზირებენ წინარწმენებს როგორც გეი კაცების, ასევე ტრანსგენდერების მიმართ. შედეგებმა, ასევე, აჩვენა, რომ ასაკს სტატისტიკური მნიშვნელობა აქვს მხოლოდ გეი კაცების შემთხვევაში. ემპათია კი არც ერთ მოდელში არ არის მნიშვნელოვანი ცვლადი. გარდა ამისა, მედიაციურმა ანალიზმა აჩვენა კომპლექსური კავშირი ასაკსა და წინარწმენებს შორის. მაღალი ასაკი, ერთი მხრივ, დაკავშირებულია წინარწმენების მაღალ დონესთან, თუმცა, ასევე, ასაკის ზრდა ამცირებს წინარწმენებს მაღალი ეთნოცენტრიზმის ხარჯზე. ამასთან ერთად, შედეგები მიანიშნებს, რომ სოციალური დომინანტობის ორიენტაციის ორი განზომილებიდან მხოლოდ დომინანტობა წინასწარმეტყველებს უარყოფით განწყობებს ტრანსგენდერების მიმართ. გეი კაცების შემთხვევაში კი არც დომინანტობისა და არც ანტი-ეგალიტარიანიზმის განზომილება არ არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ჰომოფობია, წინარწმენა, ასაკი, სოციალური დომინანტობის ორიენტაცია, კონსერვატიზმი, ეთნოცენტრიზმი, ემპათია.

Abstract

The combination of a Soviet legacy and the ongoing formation of a democratic civil society in Georgia creates an environment where researching homophobic attitudes is not only a matter of social wellbeing, but is also important in the context of Georgia's geopolitical challenges. The main goal of the present study was to examine the role of age, empathy, social dominance orientation, and political ideologies in predicting homophobic attitudes, specifically toward gay men and transgender individuals. The study is cross-sectional and employs a quantitative research method. The results showed that participants exhibited higher levels of prejudice toward transgender individuals. Political ideologies—namely conservatism and ethnocentrism—positively predicted prejudice toward both gay men and transgender individuals. The findings also revealed that age has statistical significance only in case of gay men. Empathy, however, is not a significant variable in either model. Additionally, the mediation analysis indicated a complex relationship between age and prejudice. On the one hand, higher age is associated with higher levels of prejudice; on the other hand, higher age reduces prejudice through a decrease in ethnocentrism. Moreover, the results suggest that among the two dimensions of social dominance orientation, only the dominance dimension predicts negative attitudes toward transgender individuals. In case of gay men, neither the dominance nor the anti-egalitarianism dimension showed statistical significance.

Keywords: Homophobia, Prejudice, Age, Social Dominance Orientation, Conservatism, Ethnocentrism, Empathy.